პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 138 (9299)
17 ივლისი, ხუთშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

### სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# მხოლოდ დიდი ანგარიშით

...როგორც ვიუწყებოდით, დაიწ-...სსრ კავშირის ხალხთა IX სპა-...კიადის პროგრამით გათვალის-...ნებული შეჯიბრებები ფეხბურ-...ი. დნეპროპეტროვსკის, ნიკოპო-...ს, ორჯონიკიძის, დონეცკის, ხა-...ოვის, ზაპოროჟიეს სპორტულ ...ბებზე ასპარეზობენ მოკავშირე ...სპუბლიკების, მოსკოვისა და ...ნინგრადის ნაკრები გუნდები, ...ჯიბრების მონაწილეთა ასაკი არ ...ემატება 21 წელს. შეჯიბრების ...ნაწილე გუნდები დაყოფილი არ-...ს 4 წინასწარ ჯგუფად:

**...ეპროპეტროვსკის ჯგუფი:** რსფსრ, ...ნინგრადი, სომხეთი, ყირგიზე-..., ესტონეთი;

**დონეცკის ჯგუფი:** აზერბაიჯანი, ...ბეკეთი, ბელორუსია, უკრაინა;

**ზაპოროჟიეს ჯგუფი:** საქართვე-..., მოსკოვი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი;

**...რკოვის ჯგუფი:** ლატვია, ლიტვა, ...ლდოვეთი, თურქმენეთი.

...შეჯიბრება მიმდინარეობს სამ ...ნად.

...საქართველოს ფეხბურთელები ...ერ მეტოქეებთან არიან მოხვე-...ილი ზაპოროჟიეს ჯგუფში. პი-...ელ დღეს მათ ფრედ ითამაშეს ...ზახეთის ნაკრებთან — 1:1. ამ მატჩში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: მიქაძე („ტორპედო", ქუთაისი), ჩიხრაძე („დინამო", თბილისი, იგი შეცვალა ავრამიდისმა, „ლოკომოტივი", თბილისი), ბონდარუკი („დინამო", გაგრა), ჩეკუნოვი („დინამო", თბილისი), კაბისაშვილი („დინამო", თბილისი), რევიშვილი („დინამო", თბილისი), ცვეიბა („დინამო", თბილისი), ინალიშვილი („დინამო", სოხუმი), ტყავაძე („ტორპედო", ქუთაისი), ჩალიგავა („დინამო". სოხუმი), ჯიშკარიანი („შევარდენი", თბილისი, იგი შეცვალა მანაგაძე, „ტორპედო", ქუთაისი).

საქართველოს ნაკრებს ხელმძღვანელობენ გ. ჯანელიძე („ლოკომოტივი". თბილისი) და თ. ცერცვაძე („დინამო", თბილისი). სასტარტო მატჩში ჩვენს ჭაბუკებს არ გამოუვიდათ თამაში, კერძოდ, სუსტი იყო დაცვის მარჯვენა ფლანგი, ნახევარდაცვის რგოლი. პირველი ბურთი ყაზახეთის გუნდმა გაიტანა, შემდეგ კი თანაფარდობა მანაგაძემ აღადგინა.

მოსკოველებმა პირველ ტურში დიდი უპირატესობით სძლიეს ტაჯიკეთის გუნდს — 8:0.

მეორე ტურში შედგა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი საქართველოსა და მოსკოვის გუნდებს შორის. დაძაბულ ბრძოლაში ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას — 0:0. ჩვენს გუნდში ცვლილებები მოხდა: მწვრთნელებმა ძირითად შემადგენლობაში გადანაცვლებები მოახდინეს და ახალი მოთამაშეებიც შეიყვანეს — თარბა („დინამო", თბილისი), ჩადუნელი („შევარდენი", თბილისი), ბაქალაძე („კოლხეთი", ფოთი) და კვირიკაძე („ლოკომოტივი", თბილისი). ამავე ტურში ყაზახეთის ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:3 დაამარცხეს ტაჯიკეთის გუნდი.

დღეს ზაპოროჟიეს ჯგუფში გაიმართება დასკვნითი შეხვედრები. ერთმანეთს ხვდებიან საქართველო — ტაჯიკეთი, მოსკოვი — ყაზახეთი. შევახსენებთ: მოსკოვისა და ყაზახეთის გუნდებს 3-3 ქულა აქვთ, საქართველოს ნაკრებს — 2, ხოლო ტაჯიკეთს — 0. გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასასვლელად საქართველოს ფეხბურთელებს ტაჯიკეთის გუნდთან შეხვედრაში გამარჯვება ესაჭიროებათ სულ მცირე ანგარიშით 3:0.

## დარჩა გადამწყვეტი მატჩები

**მადრიდი, 16 ივლისი. (საქდესის კორ.).** ვაჟ კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ქალაქ ბარსელონაში დაამარცხა ბრაზილიის ნაკრები ანგარიშით 110:101 (62:50) და დაიკავა პირველი ადგილი თავის ჯგუფში. საბჭოთა სპორტსმენებს ხუთი თამაშიდან ხუთი მოგება აქვთ, ბრაზილიელებს — 4.

ქ. ოვიედოში მიმდინარე მეორე ნახევარფინალური ტურნირის გადამწყვეტ მატჩში აშშ-ს სპორტსმენებმა დაამარცხეს იუგოსლაველი კალათბურთელები — 69:60 (37:30). აქ ორივე გუნდს 4-4 გამარჯვება აქვს, მაგრამ პირველი ადგილი დაიკავეს ამერიკელებმა, მეორე — იუგოსლაველებმა.

ამრიგად, 17 ივლისს მადრიდში ფინალში გასვლისთვის გაიმართება ორი შეხვედრა: სსრ კავშირი — იუგოსლავია და აშშ — ბრაზილია. მატჩი მესამე ადგილისთვის შედგება 19 ივლისს, ფინალური — ოქროს მედლებისთვის — 20 ივლისს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბარსელონა. ესპანეთი — კუბა 78:77 (37:47), ისრაელი — საბერძნეთი 82:79 (35:42); ოვიედო. იტალია — არგენტინა 78:70 (38:31), კანადა — ჩინეთი 95:81 (48:48). ყველა ეს გუნდი გაითამაშებს მე-5-მე-12 ადგილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

МОСКВА '86 ИГРЫ ДОБРОЙ ВОЛИ

# კეთილი ნების თამაშები

## ფავორიტები გზას მიიკვლევენ

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები **გიორგი ჩოხიშვილი** და **ზურაბ ფოცხვერია** მოსკოვიდან გვატყობინებენ:

**კეთილი** ნების თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის ორი მოკრივე მონაწილეობს. ხვიჩა ხდრიანის პირველი გამარჯვების შესახებ უკვე გამცნეთ. ხვიჩას არც ფოთელი იური სავოჩკინი (60 კგ) ჩამორჩენია — მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელმა ბულგარელი ხ. ფურნიგოვი დაამარცხა.

გუშინწინ გაირკვა რვა ფინალისტის ვინაობა.

48 კგ წონითი კატეგორიის მოკრივეთა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა სპორტსმენები — კარიმჟან აბდრახმანოვი, რომელმაც ნახევარფინალში მონგოლეთის წარმომადგენელს ცენოიდოვინ ცერენიამს სძლია და ნშან მუნჩიანი (მან ნახევარფინალში კორეელ ჩხოლ ჩანს მოუგო).

51 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზებენ რინვიდას ბილიუსი (სსრ კავშირი, მან დაამარცხა ბულგარელი მიხაილ ვიდინსკი) და ენტონი ართურ ჯონსონი (აშშ, დაამარცხა ვენესუელის წარმომადგენელი დევიდ გრიმანი).

უძლიერესის სახელს 67 კგ წონით კატეგორიაშიც საბჭოთა მოკრივეები შეეცილებიან ერთმანეთს: ალექსანდრე ოსტროვსკი, რომელმაც ფინალში ნოკაუტით (მესამე რაუნდში) სძლია აშშ-ის გუნდის წევრს რიკი როიალს და ანდრეი ტროცენკო (დაამარცხა ბულგარელი ბოგომილ ალექსანდროვი).

იხ. მე-3 გვ.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## ბრძანებულება

**სსრ კავშირის** ორდენებითა და მედლებით სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" იმ სპორტსმენებისა და მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის **დ ა ჯ ი ლ დ ო ვ დ ნ ე ნ:**

### ხალხთა მეგობრობის ორდენით

**ულენტი** ტარიელ ვარდენის ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქალაქი თბილისი.

### „საპატიო ნიშნის" ორდენით

**სტურუა** ილია ილიას ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" სამტრედიის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ.

**ხუბუა** ჯუმბერ გიორგის ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" თბილისის რაიონული საბჭოს ინსტრუქტორი.

### მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

**ცხოვრებოვი** ნოდარ ზაქარიას ძე—ამიერკავკასიის რკინიგზის სრულიად საკავშირო სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს მწვრთნელი, ქალაქი თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**ა. გრომიკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი
1986 წლის 7 ივლისი.

### მიმდინარეობს ცურვის კვირეული







## ასე იწყება

მოცურავის საკავშირო კვირეულის უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დააინტერესოს ცურვით. ამ ღონისძიებებს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „კვირეული". დიახ, იგი წლიდან წლამდე უნდა გრძელდებოდეს, რათა ყველამ, უკლებლივ ყველამ ისწავლოს ცურვა. ცურვა ხელს უწყობს ჯანმრთელობის გაკაჟებას, გარდა ამისა, მისი ცოდნა ხიფათისაგანაც გვიცავს.

სად ვისწავლოთ ცურვა? რა თქმა უნდა, საცურაო აუზებში, მდინარეებზე, ტბებზე, ზღვაზე. უნდა გვასწავლოს იგი ცურვას კარგად დაუფლებულმა ადამიანმა. ცურვის სწავლა ყველას შეუძლია, დიდსაც და პატარასაც.

რით უნდა დავიწყოთ? ბევრი ისე იწყებს, როგორც ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი ბავშვები — ერთნი ჯერ ფეხებს ისველებენ გაუბედავად, მეორენი გასაბერ რგოლებს ირგებენ და ისე ჭყუმპალაობენ, უფრო მამაცნი ცდილობენ დამოუკიდებლად ისწავლონ ცურვა, ზოგს მშობელი ეხმარება. ასე იწყებენ, მაგრამ მერე ისე ოსტატდებიან, როგორც აი, ამ სურათზე აღბეჭდილი ბიჭუნა, რომელიც კროლით მიცურავს.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.



## ზეიმი წყალზე და ხმელეთზე

**საზღვაო** და სამდინარო ფლოტის დღის აღსანიშნავად დიდი ზეიმი გაიმართა ბათუმში. ზეიმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი სოფელ შეკვეთილში გაემგზავრა ტურისტული შეკრება-შეჯიბრების მოსაწყობად. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ არა მარტო მეზღვაურები, დოკერები და საქართველოს საზღვაო-სანაოსნო სამმართველოს თანამშრომლები, არამედ მათი ხელმძღვანელებიც. მაგალითად, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ა. მანჯგალაძემ ტურისტულ შეკრება-შეჯიბრებაში მთელი ოჯახით — მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ამავე სანაოსნოს ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ა. ვაშაკიძემ ფეხბურთის მინდორზე გამოიჩინა თავი, „ვოდნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ლ. სალუქვაძემ ორფუთიანი საწონების აწევაში გამოიჩინა თავი.

ბათუმში საჩვენებელი გამოსვლები მოაწყვეს მოკრივეებმა და მოფარიკავეებმა, დაფებს მიუსხდნენ მოჭადრაკეებიც, მაგრამ მეზღვაურთა ზეიმი რა ზეიმი იქნებოდა საიალქნო სპორტისა და ნიჩბოსნობის გარეშე. მოლივლივე ზღვა ნაირფერმა იალქნებმაც დაამშვენეს. საინტერესოდ ჩატარდა ნიჩბოსანთა შეჯიბრებაც. ამ სპორტული პაექრობების წამყვანი, რა თქმა უნდა „ვოდნიკის" წარმომადგენლები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს IX სპარტაკიადა

# საიმედო სამეული

ახლა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში, თითოეულ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სპორტსმენები კიდევ ერთხელ ამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას, ხვეწენ ოსტატობას, ამუშავებენ ტაქტიკას, შინაურ ასპარეზობებში ხშირად სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებსაც იწვევენ. საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გამართულ წყალბურთელთა შეჯიბრებაშიც, რომელიც ქუთაისის პროფსაბჭოს საცურაო აუზში გაიმართა, კონკურსგარეშე საასპარეზოდ მოიწვიეს მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და სომხეთის გუნდები. საქართველოს ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა. მეორე იყო ტაჯიკეთის (4 ქულა), მესამე — მოლდავეთის (2) ნაკრები, სომხეთის წარმომადგენლებმა კი ქულაც ვერ აიღეს. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდებმა კიდევ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართეს.

რაც შეეხება შინაურ შეჯიბრებას, აქ სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, აფხაზეთისა და რუსთავის გუნდები.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა თბილისის გუნდმა, რომლის ყველა წევრი რესპუბლიკის ნაკრებშია. თბილისელებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს.

6 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ ქუთაისელი წყალბურთელები. ეს მათთვის უდავოდ კარგი შედეგია. რაც მთავარია, გუნდში არის რამდენიმე ფრიად პერსპექტიული წყალბურთელი. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ რამაზ პატარიძე და მიხეილ ფანჩულიძე — განათლების განყოფილების გუნდის აღსაზრდელები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბიჭების სახით ჩვენს წყალბურთელებს ღირსეული ცვლა ეზრდება. როგორც ჩანს, გუნდის მწვრთნელები დემურ კაზიევი და ელგუჯა ფესტვენიძე ნაყოფიერად მუშაობენ. სასიხარულოა, რომ ისინი ამ ქალაქის წყალბურთელთა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები არიან. მოგეხსენებათ, ქუთაისში ბევრი კარგი წყალბურთელი აღიზარდა. რამდენიმე მათგანი თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ გივი ჩიქვანაია, მურთაზ გულედანი, მიხეილ გიორგაძე... ისინი მწვრთნელ დიმიტრი ხორავას აღზრდილები არიან. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაზე ბატონ დიმიტრის საზეიმო ვითარებაში მოუწყვეს სამოღვაწეო ასპარეზიდან გაცილება.

იმედია, დიმიტრი ხორავას საქმეს სხვები გააგრძელებენ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ქუთაისის პროფსაბჭოს შესანიშნავ საცურაო კომპლექსში წყალბურთის სპეციალიზებული სკოლა გაიხსნას. წყალბურთის სექციები უნდა გახსნან სპორტსაზოგადოებებმაც, უწინარეს ყოვლისა, „დინამომ".

შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა აფხაზეთის ნაკრებმა, რომელმაც 4 ქულა მოაგროვა. მათ წყალბურთელებს, სამწუხაროდ, ერთადერთი — დოსაafის აუზი აქვთ, რომელიც ძირითადად სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების მოცურავეთა განკარგულებაშია და წყალბურთელებს იგი ცოტა ხნით რჩებათ.

ასპარეზობაში მომდევნო ადგილები რუსთავისა (2 ქულა) და აჭარის (0) გუნდებმა დაიკავეს.

ყველაზე ახალგაზრდული გუნდი რუსთაველებს ჰყავდათ. მათგან თავი დაგვამახსოვრა მეკარე რამაზ ლუდუშაურმა. სპეციალისტები რამაზს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ლუდუშაურმა ამ შეჯიბრებაზე საუკეთესო მეკარისათვის განკუთვნილი სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

საინტერესოა, რომ რუსთაველებს დიდი ხანი არაა, რაც იური ქართველიშვილი ავარჯიშებს. ადრე იგი მოსკოვში მუშაობდა მწვრთნელად. ქართველიშვილმა დროის მცირე მონაკვეთში შეძლო ახალბედა რუსთაველი წყალბურთელებისგან გუნდის შექმნა.

რაც შეეხება აჭარის გუნდს, მასზე კარგს ვერაფერს ვიტყვით. გუნდი ძალზე უსუსურად გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, ბათუმის აუზში წლობით გაჭიანურებულმა რემონტმა აქ ერთგვარად შეაფერხა წყალბურთის განვითარება.

**რევაზ ცომაია,**
**საქართველოს სპორტსახკომის საწყლოსნო სახეობების განყოფილების მთავარი მწვრთნელი.**

# ისევ სიყალბე?

„ტყავის ბურთის" პრიზზე ჩატარებული ნებისმიერი ტურნირი მოზარდ ფეხბურთელთა შორის სპორტის ამ სახეობის პროპაგანდას, მის პოპულარიზაციას უნდა ემსახურებოდეს. უმეტესად ასეც არის — „ტყავის ბურთის" რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრებები ფეხბურთის ჭეშმარიტ ზეიმად იქცევა ხოლმე, მაგრამ სამწუხაროდ, გვხვდება გამონაკლისებიც. უკანასკნელ ხანს ეს გამონაკლისი იმდენად გახშირდა, რომ ლამის წესად იქცეს. ვგულისხმობთ სხვადასხვა რანგის ტურნირებში (თვით საკავშირო ასპარეზობებშიც კი) მომხდარ უსიამოვნო ინციდენტებს — იქნება ეს ასაკგადაცილებულ მოთამაშეთა განაცხადში შეყვანა, თუ მსაჯთა კოლეგიისათვის ყალბი საბუთების წარდგენა. ყოველი ასეთი ფაქტი, როგორც წესი, საჯარო მსჯელობის საგანი ხდება და დამნაშავენი საკადრისად ისჯებიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრია სპორტის ისეთი „მოღვაწე", რომელიც არად დაგიდევთ ფეხბურთის ინტერესებს, თავისი ბნელი მაქინაციებით ჩრდილს აყენებს არა მარტო მშობლიურ ქალაქსა თუ რაიონს, არამედ მთელ რესპუბლიკას.

ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტის მოწმენი გავხდით ხობში, სადაც „ტყავის ბურთის" პრიზის რესპუბლიკური ფინალური გათამაშება მიმდინარეობდა. უმცროსი ასაკის (1975-1976 წლებში დაბადებულნი) ფეხბურთელთა შეჯიბრების ერთ-ერთ ნახევარფინალში ქუთაისის „აისი" და ტყიბულის „მეშახტე" შეხვდნენ ერთმანეთს. ტყიბულელებმა კარგად ითამაშეს და დიდი ანგარიშით (4:1) დაამარცხეს მეტოქე. მაგრამ 10-11 წლის ტყიბულელი ბიჭუნების სიხარული ნაადრევი გამოდგა. მათი მწვრთნელის ა. ნიშნიანიძის უმსგავსო საქციელმა ბიჭები ფინალს მიღმა დატოვა — „მეშახ... გათამაშებიდან მოხსნეს და ფ... ლში მის მაგივრად ქუთაისის „... სი" დაუშვეს. რამ გამოიწვია ა... თი მკაცრი სანქცია?

ნახევარფინალურ შეხვედრა... ტყიბულელთა კარი უნდა დაე... კობა ჭოლაძეს, რომლის წლოვა... ბა სავსებით შეესაბამებოდა ამ ... აკობრივი ჯგუფისთვის დადგენ... ნორმებს. განაცხადში ა. ნიშნია... ძემ სწორედ კობა შეიყვანა, მ... დორზე კი მის მაგივრად გიორ... ჭოლაძე გამოიყვანა — კობას უ... როსი ძმა. ძმები გარეგნულად ... თმანეთს ჰგავდნენ და მწვრთნე... ალბათ იფიქრა, სიყალბე შეუმჩ... ველი დარჩებაო. საბედნიეროდ ასე არ მოხდა. ვთქვათ, ეს სამა... ცხვინო ამბავი არავის შეემჩნ... თვითონ ნორჩმა ტყიბულე... ფეხბურთელებმა ხომ იცოდ... რასაც სჩადიოდნენ? თანაც, ... ყალბის მოთავე იყო ადამიანი, ... სგანაც პატარები მაგალითს უ... იღებდნენ. განა შეიძლება ასე... დამრიგებელმა ნამდვილი სპორ... სმენები გაზარდოს?

მწვრთნელ ა. ნიშნიანიძის ს... ციელი უსათუოდ საგანგებო მს... ლობის საგანი უნდა გახდეს. სხ... ბისთვის კი ეს ფაქტი, იმედ... ჭკუის სასწავლებელი გაკვეთი... იქნება.

ხობში გრძელდება „ტყავის ბ... თის" ფინალური შეჯიბრება: ... ორი დღის წინ ბრძოლაში ჩაებ... საშუალო ასაკის მოსწავლე ფე... ბურთელები, მათ შემდეგ უფრო... ასაკის ბავშვები იასპარეზებ... რაც შეეხება უმცროსი ასაკის ფ... ხბურთელთა ტურნირს, აქ გაი... რჯვა თბილისის „შატილმა", რ... მელმაც ფინალში ანგარიშით 1... დაამარცხა ქუთაისის „აისი". ... უკეთესო ბომბარდირისთვის და... სებული პრიზი გადაეცა გამარ... ვებული გუნდის თავდამსხმელ... მამუკა მამუჩიშვილს, რომელმა... 6 ბურთი გაიტანა.

მისაბაძი თაოსნობა

# კულტურულ-სპორტული ზეიმი სოფელში

ამ დღეს სოხუმის რაიონის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ბირცხაში დილიდანვე უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა. დიდი და პატარა გარეთ გამოსულიყო. დოლისა და ფანდურის ხმა აცოცხლებდა გარემოს — მხიარულობდნენ ბირცხელები. დრო და დრო ტკბილხმოვან ჰანგებს უჩვეულო ყიჟინი ერწყმოდა, ისეთი, სპორტულ ასპარეზობებს რომ ახლავს ხოლმე.

დიახ, სოხუმის რაიონის ალკკ კომიტეტისა და რაიონის სპორტკომიტეტის ინიციატივით ბირცხაში მოეწყო კულტურულ-სპორტული ზეიმი, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება.

ზეიმის სპორტულ პროგრამაში ორასმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ღია ცის ქვეშ გაიმართა შეჯიბრებები ცხენოსნობაში, კრივში, ფრენბურთში და ტურისტულ ესტაფეტაში. განსაკუთრებული ხალხმრავლობა მაინც საჭიდაო არენაზე იყო. ნორჩების ჭიდაობამ ისე აღანთო მაყურებლები, რომ თვითონაც გადაწყვიტეს მუხლისა და მკლავის ძალა მოესინჯათ.

დასასრულ ყველანი სოფლის ახლად შეკეთებული სტადიონისაკენ გაეშურნენ, სადაც ამ საინტერესო კულტურულ-სპორტული ზეიმის „ბოლო მოქმედება" — ფეხბურთელთა მატჩი გაიმართა.

**მზია აკობია.**
„ლელოს" საკ. კორ.





# სპორტსმენი სიგარეტით ხელში?

რაც მეტად ვაკვირდებით თამბაქოს ზემოქმედებას, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ იგი ადამიანის ორგანიზმში ბევრნაირ პათოლოგიურ ცვლილებას იწვევს, რაც ხშირ შემთხვევაში მძიმე დაავადებების წარმოშობისა და განვითარების მიზეზი ხდება. სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ თამბაქოს მწეველთა შორის 30-ჯერ უფრო ხშირია ფილტვის კიბო, 13-ჯერ — სტენოკარდია, 12-ჯერ — გულის კუნთის ინფარქტი, 10-ჯერ — კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, 2-ჯერ — ტუბერკულოზი და სხვა, მწეველთა სიცოცხლის ხანგრძლივობა არამწეველებთან შედარებით საშუალოდ 5 წლით ნაკლებია.

საკმარისია ითქვას, რომ 20 სიგარეტიდან მიღებული სუფთა ნიკოტინი ძლიერი შხამია და მისი ამ რაოდენობით ხარის ან ცხენის ორგანიზმში შეყვანა ცხოველების სიკვდილს იწვევს. ადამიანი თამბაქოს წევის დროს ნიკოტინს მცირე დოზით იღებს, ამიტომ ორგანიზმი მას თანდათან ეგუება, მაგრამ შხამი გროვდება ქსოვილებში და საბოლოოდ ორგანიზმის დაავადებას იწვევს.

ნიკოტინის მცირე დოზით მიღებისას (1-დან 5 სიგარეტამდე დღეში) ინტოქსიკაცია ორგანიზმში ნაკლებად შესამჩნევია, რასაც ხშირად შეცდომაში შეჰყავს ზოგიერთი თამბაქოს მოყვარული სპორტსმენი. იგი ფიქრობს, რომ თამბაქოს ეს „ულუფა" მის სპორტულ მაჩვენებლებზე ვერ იმოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სპორტში ფიზიკური დატვირთვის მოცულობა და ინტენსივობა შესამჩნევად გაიზარდა. თანამედროვე სპორტსმენი ყოველმხრივ უნდა იყოს მომზადებული ამ დიდი ფსიქო-ფიზიკური დატვირთვისათვის. უნდა ითქვას, რომ მის სპორტულ შედეგებზე ორგანიზმში მომხდარმა უმნიშვნელო ხასიათის ფუნქციურმა დარღვევამაც კი შეიძლება იმოქმედოს. ნიკოტინი კი არღვევს ნივთიერებათა ცვლას, კერძოდ, ხელს უშლის ვიტამინ C-ს შეთვისებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კუნთების მუშაობისათვის.

ცნობილია, რომ დღეს წამყვან სპორტსმენთა თითქმის 9% ეწევა სიგარეტს. თითოეული სიგარეტის მოწევის შემდეგ ადამიანში გულის ცემამ შესაძლოა ერთ წუთში 5-35 დარტყმით მოიმატოს. ე. ი. თამბაქოს წევა ხელოვნურად უწყობს ხელს გულის მუშაობის აჩქარებას: სპორტსმენი, რომელიც სიგარეტს ეწევა ვარჯიშისა და შეჯიბრების წინ ან მისი დამთავრების შემდეგ, საკუთარ გულს პრაქტიკულად არ აძლევს დასვენების საშუალებას. დასვენებას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სპორტული შრომისუნარიანობის ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნებისათვის. გამოკვლეულია, რომ, თუ სპორტსმენი სიგარეტს ეწევა, მისი გული დღე-ღამეში 10 000-25 000-ჯერ ზედმეტად იკუმშება და ამიტომ იგი უფრო ადვილად იღლება.

ნიკოტინი მეტად უარყოფითად მოქმედებს მფრინავებზე, ალპინისტებზე, მოჭადრაკეებზე. თამბაქო აქვეითებს სპორტსმენის მოძრაობის კოორდინაციას და სიზუსტეს. ასე მაგალითად, ერთი სიგარეტის მოწევის შემდეგ სპორტსმენს ბურთის მიზანში ტყორცნის უნარი 12%-ით უქვეითდება. იგივე ითქმის მსროლელზე. თამბაქო აქვეითებს სპორტსმენთა სასტარტო სისწრაფეს. მაგალითად, მწეველ ათლეტებს 15%-ით უქვეითდებათ კუნთური ძალა და ამიტომ ისინი ადვილად იღლებიან. ერთი და იმავე ფიზიკურ დატვირთვაზე თამბაქოს მწეველ სპორტსმენს მთელი ძალის 32 პროცენტი ეხარჯება, არამწეველს კი — მხოლოდ 19%. ერთი სიტყვით, სპორტსმენი თამბაქოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწეოდეს.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე.**

**თენგიზ ქუთათელაძე,**
**თბილისის ბავშვთა საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი.**

ვაგრძელებთ სპორტული მოედნების გაშენები... ტიპიური პროექტების გამოქვეყნებას. დღეს გთა... ვაზობთ ფრენბურთის მოედნის პროექტს.

## ზომები და დახაზულობ...

მოედანი შედგება სათამაშო მინდვრისაგან (ზომა 18X9 მეტრზე), რო... მელიც შემოსაზღვრულია გვერდითი და პირითი ხაზებით, აგრეთვე მი... დორს მიღმა მდებარე სათამაშო ზოლებით, რომელთა სიგანე 3 მეტრ... ნაკლები არ უნდა იყოს. მოედნის ხაზების სიგანეა 5 სმ.

1. შენიშვნები:

მოედნებზე, რომლებიც განკუთვნილია მაღალი რანგის შეჯიბრებებ... ჩატარებისათვის და ოსტატთა გუნდების ვარჯიშისათვის, რეკომენდებუ... ლია მაქსიმალურად გადიდდეს მინდორს მიღმა მოთავსებული ზოლის სი... განე იმ ადგილას, საიდანაც აწვდიან ბურთს.

2. გამონაკლის შემთხვევაში (გამარტივებული წესებით თამაშისათვის... შეიძლება მოვაწყოთ მომცრო ზომის მინდორი (იხ. ნახაზი).

3. მოედნის ზომებში შეტანილი ცვლილებები მინიშნებული უნ... იყოს დაპროექტებისას და შეთანხმებული შესაბამის სპორტკომიტეტთა...




## ძირითადი სათამაშო მოწყობილობ...

ბადე — სიგრძე 9,5 მ., სიგანე 1 მ., დაჭიმულია ორ ბოძს შორის ბაგირით. სიმაღლე იცვლება იმის მიხედვით, რა ასაკის ქალები თუ ვა... ჟები ასპარეზობენ. მინიმალური სიმაღლეა 210 სმ; მაქსიმალური — 24... სმ. ბოძები მრგვალი უნდა იყოს, დამზადებული ნებისმიერი მკვრივი ... გამძლე მასალებიდან, მუდმივად დამაგრებული ან მოსახსნელი. კონს... რუქცია საშუალებას უნდა იძლეოდეს დავამაგროთ ბადე საჭირო სიმა... ღლეზე.

იმისათვის, რომ ბურთი არ მოხვდეს მეზობელ მოედნებზე და არ შე... წყდეს თამაში ბურთის გადავარდნის გამო მოედნიდან საკმაოდ შორს, სა... ურველია მოედნის ირგვლივ (ან პირით ხაზებს უკან) მოეწყოს მესერი, ს... მაღლით 3 მეტრი. ტრიბუნების მხრიდან მოედნის შეღობვა არ არის ს... ჭირო.

# კეთილი ნების თამაშები

## ფავორიტები გზას მიიკვლევენ

(დასასრული)

მძიმეწონოსანთა (91 კგ) ფინალიც საბჭოური იქნება: სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი რამზან სიბიევი (ნახევარფინალში მან აშკარა უპირატესობით დაამარცხა აშშ-ის წარმომადგენელი აიკ პადილა) შეხვდება ვლადიმერ ბალაის (მოუგო აშშ-ის გუნდის წევრს მაიკლ ბენტს).

დანარჩენი 16 ფინალისტის (8 წონითი კატეგორია) ვინაობა დღეს გაირკვევა. ნახევარფინალურ ბრძოლებში რინგზე 16 საბჭოთა მოკრივე გამოვა, მათ შორის ორი საქართველოს წარგზავნილი იქნება.

**ხელბურთელ** ვაჟთა ტურნირის მესამე დღეს ერთმანეთს ლიდერები — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები შეხვდნენ. უპირატესობა ჩვენმა ხელბურთელებმა მოიპოვეს — 23:19. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მომდევნო შეხვედრაც. ისლანდიელებმა პოლონეთის გუნდს მხოლოდ ერთი ქულით აჯობეს (22:21), რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა კი (იგი უკონკურსოდ ასპარეზობს) ჩეხოსლოვაკიელები ანგარიშით 32:26 დაამარცხა.

ქალთა ტურნირის მესამე დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: უნგრეთი — აშშ 21:12, გფრ — დანია 17:16, სსრ კავშირი — იაპონია 40:18.

**გათამაშების ცხრილები**

**ვაჟები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 85-62 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 64-63 | 4 |
| რსფსრ | 3 | 1 | 1 | 1 | 69-73 | 3 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 0 | 2 | 65-61 | 2 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 58-73 | 2 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 56-65 | 1 |

**ქალები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 95-56 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 57-47 | 4 |
| გფრ | 3 | 2 | 0 | 1 | 56-57 | 4 |
| დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 57-68 | 2 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 65-82 | 2 |
| აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 55-75 | 0 |

**ფრენბურთელ** ვაჟთა მეორე ტურის ყველა შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 დამთავრდა. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენთა გამოსვლები იყო. საბჭოთა ფრენბურთელებმა დაამარცხეს პოლონელები, ამერიკელებმა კი იაპონიის გუნდი. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ ფრანგი სპორტსმენებიც, რომლებმაც ამჯერად ბრაზილიელებს აჯობეს. ბულგარეთის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხა.

**გათამაშების ცხრილები**

**პირველი ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ჰ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 2 | 0 | 6-0 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 3-3 | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| იაპონია | 2 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ჰ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 6-0 | 2 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 6-1 | 2 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 1-6 | 0 |
| ბრაზილია | 2 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

## დარჩა ორი რბოლა

**ტალინი.** აფროსანთა შეჯიბრებაში ჩატარდა მეოთხე სერიის რბოლები. „ვარსკვლავის“ კლასში ამერიკელ მარკ რეონოლდსა და თბილისელ გურამ ბიგანიშვილს ორორი რბოლა აქვთ მოგებული. ამერიკელს ჯერჯერობით 6 საჯარიმო ქულა აქვს, ბიგანიშვილს —8,7. ჩასატარებელი დარჩა კიდევ ორი რბოლა.

სხვა კლასებში ოთხი დღის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: „470“ (ვაჟები) — მორგან რიზერი (აშშ) — 10,6; „470“ (ქალები) — კარენ ჯონსონი (კანადა) — 10; „ტორნადო“ — იური კონოვალოვი (სსრ კავშირი) — 8; „მფრინავი ჰოლანდიელი“ — ალექსანდრე შპილკო (სსრ კავშირი) — 3; „სოლინგი“— ჯონ კოსტეკი (აშშ) — 5,7; „ვინდგლაიდერი“ (ვაჟები) — რიჩარდ მაიერსკაფი (კანადა) — 21 ქულა, „ვინდგლაიდერი“ (ქალები) — იოანა ბუჟინსკა (პოლონეთი) —3; „ფინი“ — ო. ხოპერსკი (სსრ კავშირი) — 5,7.

## საბჭოთა და ამერიკელ ჩოგბურთელთა უპირატესობით

**იურმალა.** ქალთა წყვილების ერთ-ერთი მეოთხედფინალი ამერიკისა და საბჭოთა ჩოგბურთელების მიკრო-მატჩს წააგავდა, სადაც ლეილა მესხსა და ნატალია ზვერევას, ბევერლი ბოუზისა და მართიანა ვერდელის სახით საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ. პირველი სეტი საბჭოთა ჩოგბურთელებმა მოიგეს — 6:2, მეორეში იმავე ანგარიშით უპირატესობას ამერიკელებმა მიაღწიეს. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მესამე გადამწყვეტი სეტი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 7:6.

სვეტლანა პარხომენკოსა და ლარისა სავჩენკოს წყვილმა დაამარცხა უნგრელთა დუეტი (ლილია ბუჟა და რეკა სიკსაი) — 6:3, 6:1, ხოლო ამერიკელთა მეორე წყვილმა (კეროლაინ კულმენი და რონი რეისი) — რუმინელებს (ფლორენტინა კურპენე და ტეოდორა ტახე) აჯობეს — 3:6, 6:0, 6:1.

ნახევარფინალში ლეილა მესხი და ნატალია ზვერევა სვეტლანა პარხომენკო — ლარისა სავჩენკოს წყვილს შეხვდება. მეორე ნახევარფინალში კი ამერიკელები — ივო ბუდაროვასა და მარცელა სკუხერსკაიას (ჩეხოსლოვაკია) ეთამაშებიან.

ქალთა ერთეულების ფინალში გამოსვლის უფლება ამერიკელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს: კეროლაინ კულმენმა ნახევარფინალში ლარისა სავჩენკო დაამარცხა — 6:2, 3:6, 6:4, ბევერლი ბოუზმა კი — სვეტლანა პარხომენკო — 6:1, 6:1.

ვაჟთა ერთეულების ფინალში ანდრეი ჩესნოკოვის (სსრ კავშირი) მეტოქე 20 წლის ჩეხოსლოვაკიელი მარიან ვაიდა იქნება, რომელმაც მანამდე საბჭოთა ჩოგბურთელი ალექსანდრე ზვერევი დაამარცხა— 4:6, 7:5, 6:2.

## დღეს და ხვალ თამაშებზე

**17 ივლისი. კრივი.** ნახევარფინალური შეხვედრები.

**ტანვარჯიში (ქალები).** გუნდური შეჯიბრებები ნებისმიერი პროგრამით.

**ძიუდო.** შეჯიბრება 86 კგ. წონით კატეგორიაში.

**აფროსნობა.** მეხუთე სერიის რბოლები.

**ხელბურთი. ქალები:** გფრ — იაპონია, სსრ კავშირი — აშშ, დანია — უნგრეთი; **ვაჟები.** აშშ — პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი.

**18 ივლისი. ფრენბურთი.** ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალური შეხვედრები.

**ტანვარჯიში (ქალები).** პირადი შეჯიბრება მრავალჭიდში.

**ძიუდო.** შეჯიბრება 78 კგ. წონით კატეგორიაში.

**აფროსნობა.** მეექვსე სერიის რბოლები.

**ძალოსნობა.** შეჯიბრება 100 კგ. წონით კატეგორიაში.

**ხელბურთი. ქალები:** აშშ — გფრ, იაპონია — დანია, უნგრეთი — სსრ კავშირი; **ვაჟები.** ისლანდია— ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი — სსრ კავშირი. შეჯიბრების დახურვა.

## უმაღლესი ლიგა

**გუშინ** შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და კიევის „დინამო“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. „დნეპრი“ — „სპარტაკი“ 1:3.

# თბილისელი ჭაბუკები ფინალში ითამაშებენ

მიმდინარე წლის ოქტომბერში მოსკოვში გაიმართება ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი, რომელშიც 1968-1969 წლებში დაბადებული სპორტსმენებით დაკომპლექტებული ექვსი საუკეთესო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. სასიხარულოა, რომ ფინალისტთა შორის იქნება თბილისის „დინამოც“, რომელმაც ეს უფლება ამ რამდენიმე დღის წინათ, ფრუნზეში ჩატარებულ ნახევარფინალურ ასპარეზობაში მოიპოვა.

ყირგიზეთის დედაქალაქში ფინალური ტურნირის ორი საგზურისათვის ექვსი გუნდი იბრძოდა. თბილისის დინამოელთა გარდა სარბიელზე გამოვიდნენ ფრუნზეს „ალგა“, ვოლგოგრადის „ბარიკადი“, მინსკის „დინამო“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და შარშანდელ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, მოსკოვის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის გუნდი. თბილისელებმა პირველ მატჩში დაამარცხეს ვოლგოგრადელი თანატოლები (1:0), შემდეგ ფრედ ითამაშეს მინსკელებთან (2:2) და დნეპროპეტროვსკელებთან (0:0). გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ფეხბურთელთა შეხვედრას მოსკოვის გუნდთან. ეს პრინციპული ორთაბრძოლა დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ტურნირში მათ მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს (მასპინძელთა კოლექტივთან — 0:2) და საბოლოოდ 6 ქულა მოაგროვეს. ამდენივე ქულა დაუგროვდათ მოსკოვისა და ვოლგოგრადის გუნდებს. მაგრამ ურთიერთშეხვედრაში მოპოვებული უპირატესობის წყალობით მეორე ადგილი თბილისელებს მიეკუთვნათ (8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა „ალგამ“).

ამრიგად, ფრუნზეს ნახევარფინალური ზონიდან საკავშირო პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში თამაშის უფლება დაიმსახურეს „ალგამ“ და თბილისის „დინამომ“ (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ბორის სიჭინავა, (მწვრთნელები — თენგიზ ჩარკვიანი და ნესტორ მუმლაძე). ტურნირის საუკეთესო მცველის პრიზი გადაეცა თბილისელთა გუნდის წევრს დავით კევლიშვილს. მის გარდა კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს გიორგი ლოლუამ, კახა ნადარეიშვილმა, იური ალბოროვმა, იმედა მეტრეველმა და სხვებმა.

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩები.

### I ლიგა

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 3:2. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლები: დადუნაშვილი, კიკნაძე-2 („მეტალურგი“), დოლიძე, სირბილაძე („მადნეული“).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი ფეხბურთელი ბეს. უგულავა.

**„ქართლი“ (გორის რაიონი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი ვ. შელია (გაგრა).** გოლები: ახალკაცი („ქართლი“), ზუკაკიშვილი („არმაზი“).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ფეხბურთელი ზ. ძაგანიშვილი.

**„იმედი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:2. მსაჯი გ. დოლენჯიშვილი (თბილისი).** გოლები: ლობჟანიძე, მიქელაშვილი („იმედი“), ხუბეჯიშვილი, ჯიოევი („სპარტაკი“).

ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ცხინვალელი ფეხბურთელები ა. დოგუზოვი და ა. ტუაევი.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:2. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: მებუკე, მანუჩაროვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ხარაზიშვილი, ლამბაშიძე („ივერია“).

**„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:0. მსაჯი ვ. შელია (გაგრა).** გოლები: შალამბერიძე, ქობელაშვილი, ჯაკობია-2, საგინაძე-2 („შევარდენი“-სპი).

**დასავლეთი ჯგუფი**

**„სულორი“ (ვანი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 6:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: ჯ. ვერულაშვილი, ნეფარიძე-2, გ. ვერულაშვილი-3 („სულორი“), გერგელი („ეგრისი“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: სვანაძე, ფესტვენიძე, ახალაძე, გვაძაბია („შადრევანი“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: ლაგვილავა, გოგოძე („სალხინო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გეგეჭკორელი ზ. საბაშვილი და ქუთაისელი ვ. ჭყონია, ხოლო მსაჯთან კამათისთვის ყვითელი ბარათი დაიმსახურა ქუთაისელმა გიორგაძემ.

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1. მსაჯი მ. ჰელიძე (თბილისი).** გოლები: რუხაძე, ბრეგაძე („საპოვნელა“), ბიგვავა („დინამო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ზ. ჯანიაშვილი და ზუგდიდელი მ. ქომეთიანი.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (გაგრა) 3:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ვაშაკიძე, ქავთარაძე, ციმაკურიძე („სამეგრელო“), რაგანიანი („დინამო“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 5:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: გ. კვარაცხელია, ბ. კვარაცხელია, აბრალავა, ჩიკინიოვი, გორგოშია („სქური“), მეჩეხია „ბახმარო“).

## საქართველოს პირველობა

**გათამაშების ცხრილები**

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურ.“ | 18 | 13 | 3 | 2 | 32-13 | 29 |
| „შევ.“-სპი | 17 | 13 | 1 | 3 | 41-15 | 27 |
| „მადნეული“ | 19 | 11 | 1 | 7 | 42-27 | 23 |
| „ფიზკ. ინს. | 19 | 9 | 4 | 6 | 31-23 | 22 |
| „დურუჯი“ | 19 | 8 | 4 | 7 | 15-26 | 20 |
| „კახეთი“ | 17 | 8 | 3 | 6 | 25-27 | 19 |
| „ქართლი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 10-17 | 18 |
| „არმაზი“ | 16 | 5 | 5 | 6 | 22-24 | 15 |
| „იმედი“ | 17 | 3 | 8 | 6 | 12-22 | 14 |
| „ივერია“ | 17 | 5 | 3 | 9 | 15-22 | 13 |
| „სპარტაკი“ | 16 | 5 | 2 | 9 | 14-24 | 12 |
| ასკ თბ. | 16 | 3 | 2 | 11 | 10-29 | 8 |

**დასავლეთი ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ ზ. | 17 | 10 | 1 | 6 | 40-22 | 21 |
| „სამეგრ.“ | 17 | 9 | 3 | 5 | 24-14 | 21 |
| „სალხინო“ | 17 | 8 | 3 | 6 | 26-20 | 19 |
| „დინ.“ გ. | 16 | 8 | 2 | 6 | 27-23 | 18 |
| „სქური“ | 17 | 8 | 2 | 7 | 23-30 | 18 |
| „ეგრისი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 23-29 | 18 |
| „მერცხალი“ | 16 | 8 | 1 | 7 | 22-13 | 17 |
| „საპოვნელა“ | 17 | 8 | 1 | 8 | 26-26 | 17 |
| „შადრევანი“ | 16 | 8 | 0 | 8 | 28-23 | 16 |
| „ამირანი“ | 17 | 7 | 2 | 8 | 19-29 | 16 |
| „სულორი“ | 16 | 6 | 3 | 7 | 22-19 | 15 |
| „იმერეთი“ | 17 | 4 | 3 | 10 | 14-24 | 11 |
| „ბახმარო“ | 16 | 4 | 1 | 11 | 11-33 | 9 |

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა.** „კოლმეურნე“ (მარნეული) — „გantiადი“ (კასპი) 2:6, „თრიალეთი“ (წალკა) — „მშენებელი“ (რუსთავი) 2:3, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:2, „სამგორი“ (გარდაბანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:1, „აკრიანი“ (მარტყოფი) —„არაგვი“ (დუშეთი) 1:4, „სიონი“ (დმანისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:3, „მუხნარი“ (მუხრანი) — „მირაქი“ (წითელი წყარო) 2:1.

**ცენტრალური ზონა.** „თორი“ (ბორჯომი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 1:0, „კოლმეურნე“ (ტყიბული) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:2, „იბერია“ (ქარელის რ-ნი) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ჩიხურა“ (საჩხერე )2:2, „რაჭა“ (ამბროლაური) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:1, „ხვამლი“ (ცაგერი) — „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) 1:0.

**დასავლეთი ზონა.** „ზანა“ (აბაშა) — „ნარინჯი“ (გონიო) 3:0, „ნაპერწკალი“ (ოქუმი) — „კოლმეურნე“ (გაგრა) 1:1, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „მზიური“ (გალი) 2:0, „დვაბზუ“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 3:3, „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 2:1.

**გათამაშების ცხრილები**

მდგომარეობა 16 ივლისისთვის

**აღმოსავლეთი ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჰერეთი“ | 13 | 11 | 0 | 2 | 31-9 | 22 |
| „სამგორი“ | 14 | 9 | 2 | 3 | 27-15 | 20 |
| „ბახტრიონი“ | 13 | 8 | 3 | 2 | 26-9 | 19 |
| „განთიადი“ | 13 | 8 | 2 | 3 | 41-22 | 18 |
| „მშენებელი“ | 13 | 8 | 2 | 3 | 25-16 | 18 |
| „ალგეთი“ | 14 | 8 | 2 | 4 | 21-16 | 18 |
| „მუხნარი“ | 13 | 7 | 2 | 4 | 16-19 | 16 |
| „თრიალეთი“ | 13 | 6 | 2 | 5 | 26-24 | 14 |
| „არაგვი“ | 13 | 5 | 3 | 5 | 22-18 | 13 |
| „ალაზანი“ | 13 | 4 | 3 | 6 | 10-14 | 11 |
| „კოლმ.“ მ. | 14 | 4 | 3 | 7 | 18-25 | 11 |
| „გარისი“ | 13 | 3 | 5 | 5 | 19-18 | 11 |
| „გარეჯი“ | 13 | 3 | 3 | 7 | 18-21 | 9 |
| „მირაქი“ | 13 | 2 | 0 | 11 | 22-42 | 4 |
| „სიონი“ | 12 | 1 | 2 | 9. | 11-24 | 4 |
| „აკრიანი“ | 13 | 1 | 0 | 12 | 14-15 | 2 |

**ცენტრალური ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მალაროელი“ | 15 | 11 | 3 | 1 | 39-13 | 25 |
| „საირმე“ | 13 | 10 | 1 | 2 | 18-7 | 21 |
| „იმერეთი“ | 15 | 10 | 0 | 5 | 24-16 | 20 |
| „თორი“ | 15 | 7 | 5 | 3 | 21-10 | 19 |
| „ჩიხურა“ | 14 | 7 | 4 | 3 | 31-22 | 18 |
| „ვარძია“ | 14 | 6 | 3 | 5 | 27-16 | 15 |
| „რაჭა“ | 14 | 6 | 1 | 7 | 24-28 | 13 |
| „მშენებელი“ | 15 | 3 | 7 | 5 | 15-17 | 13 |
| „კოლმ.“ ტ. | 14 | 6 | 0 | 8 | 17-25 | 12 |
| „მესხეთი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 19-20 | 12 |
| „ლიახვი“ | 15 | 5 | 2 | 8 | 14-19 | 12 |
| „დილა“ | 15 | 5 | 2 | 8 | 19-27 | 12 |
| „ხვამლი“ | 14 | 4 | 4 | 6 | 14-20 | 12 |
| „ზარზმა“ | 14 | 4 | 3 | 7 | 19-24 | 11 |
| „აბული“ | 13 | 5 | 0 | 8 | 17-19 | 10 |
| პოლ. ინსტ. | 14 | 3 | 3 | 8 | 16-33 | 9 |
| „იბერია“ | 14 | 4 | 0 | 10 | 15-33 | 8 |

**დასავლეთი ზონა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური“ | 14 | 11 | 1 | 2 | 49-12 | 23 |
| „კოლხეთი“ | 12 | 11 | 1 | 0 | 29-9 | 23 |
| „ოდიში“ | 12 | 7 | 1 | 4 | 24-11 | 15 |
| „ნარინჯი“ ქ. | 12 | 7 | 1 | 4 | 27-17 | 15 |
| „ზანა“ | 13 | 5 | 4 | 4 | 28-22 | 14 |
| „დვაბზუ“ | 12 | 5 | 3 | 4 | 23-12 | 13 |
| „ნარინჯი“ გ. | 12 | 5 | 2 | 5 | 9-13 | 12 |
| „ალიონი“ | 14 | 5 | 2 | 7 | 26-39 | 12 |
| „მეშახტე“ | 12 | 3 | 5 | 4 | 22-27 | 11 |
| „კოლხეთმშ.“ | 12 | 4 | 2 | 6 | 15-28 | 10 |
| „ნაპერწ.“ | 14 | 3 | 4 | 7 | 18-35 | 10 |
| „ჩიბათი“ | 12 | 4 | 1 | 7 | 14-18 | 9 |
| „სუბტროპიკი“ | 12 | 1 | 6 | 5 | 19-30 | 8 |
| „კოლმ.“ გ. | 12 | 1 | 4 | 7 | 10-29 | 6 |
| „დინამო“-2 ბ. | 11 | 2 | 1 | 8 | 13-24 | 5 |

საკავშირო ჩემპიონატი

სინქრონულ ცურვაში

# მოულოდნელი მარჯვის ნაყოფი

**როგორც** გაუწყეთ, საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატებმა ჩინებულად იასპარეზეს კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში.

ერთეულთა თანრიგში თბილისელმა ლელა მამიაურმა ისე იასპარეზა, როგორც არასდროს. მან წინა შეჯიბრებებთან შედარებით დიდი ნახტომი გააკეთა და მეექვსე ადგილი დაიკავა, თან სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა.

საინტერესოა, რომ სპორტის ამ სახეობაში სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება ყველაზე ძნელი სწორედ ერთეულთა თანრიგშია. აღსანიშნავია ისიც, რომ ლელამ ჩვენი ქვეყნის ნაკრების ხუთ წევრს აჯობა.

ამავე სახეობაში იყოჩაღა თბილისელმა ნინო მაისურაძემაც, რომელმაც მერვე ადგილი დაიკავა. ნინომ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ჯგუფურ ასპარეზობაში, სადაც თბილისელ გელაშვილთან, დიაკოვასთან, არჯევანიძესთან, ალავიძესთან, მამიაურთან, ქუთაისელ ვოზნიუკთან და მარგველაშვილთან ერთად გამოდიოდა. ამ სახეობაში ჩვენი ჯგუფის წევრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

საინტერესოა, რომ მათ მხოლოდ საკავშირო ნაკრების წევრებმა აჯობეს.

წყვილთა ასპარეზობაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მაისურაძემ და ნინო გელაშვილმა. ამ სახეობის ფინალში კიდევ ორი წყვილი ასპარეზობდა — ნინო მაისურაძე — იანა ალავიძისა და ანჟელა ვოზნიუკ — ელისო მარგველაშვილის წყვილები. მათ შესაბამისად მეოთხე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს.

საქართველოს წარმომადგენლებს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ საბჭოთა ნაკრებმა აჯობა.

ჩვენი სპორტსმენები, უკლებლივ ყველანი, საგრძნობლად დაწინაურდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი სავალდებულო პროგრამაში, ანუ „სკოლაში" უკვე დაოსტატებულები არიან. წინათ „სკოლაში" ისინი მეთხუთმეტე ადგილზე წინ ვერ გადიოდნენ, ახლა კი ჩვენი სპორტსმენებიდან საუკეთესოებმა: მამიაურმა და მაისურაძემ შესაბამისად მეცხრე და მეთერთმეტე ადგილები დაიკავეს. დაწინაურდნენ სხვებიც.

შევაჯამოთ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის შედეგები. მათ პროგრამის სამი სახეობიდან ორში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. გარდა ამისა, ორი სპორტის ოსტატი გახდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა სპორტის ამ სახეობაში პირველად მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის მედლები.

სინქრონული ცურვის მოყვარულებს უთუოდ გაუკვირდებათ, ჩვენი გუნდის წევრთა შორის გოგონათა საკავშირო ნაკრების წევრი, თბილისელი ხრისტინა ფალასანიდი რომ არ მოვიხსენიეთ. საქმე ისაა, რომ ამ შეჯიბრებაში გოგონათა საკავშირო ნაკრების წევრები არ გამოდიოდნენ. ისინი მოსკოვში არიან შეკრებაზე და ევროპის პირველობისთვის ემზადებიან. მარტო ის ფაქტი, რომ ხრისტინა ასეთ დიდ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში გამოვა, ჩვენი სინქრონული ცურვის ოსტატთა წინსვლაზე მეტყველებს. ყველაფერი ეს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის ნატალია მაშუკის მოუღლელი მუშაობის ნაყოფია. მას მხარში უდგას ქუთაისელი მწვრთნელი ტატიანა კოსტირევა, გუნდის უფროსი კონსტანტინე მაისურაძე, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის დირექცია (დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი), რომელიც ყოველგვარ პირობას ქმნის იმისათვის, რომ ჩვენს ნაკრებს ვარჯიშის კარგი პირობები ჰქონდეს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

# გიორგი ავალიშვილი

**რესპუბლიკის** სპორტულმა საზოგადოებრიობამ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, სამოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა ქართული საკალათბურთო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ივანესძე ავალიშვილი, კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეროვნული სპორტის საქმეს, მის სახელსა და ავტორიტეტს ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა.

გ. ავალიშვილი 1913 წლის 16 ოქტომბერს თბილისში დაიბადა. მეთხუთმეტე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო.

სპორტს ადრეულ ასაკში ეზიარა. თავდაპირველად, როგორც ყველა იმდროინდელი ახალგაზრდა, ტანვარჯიშით ყოფილა გატაცებული. კალათბურთის თამაში უნივერსიტეტში დაიწყო და სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი მართლაც რომ გამორჩეული იყო. ამ სასწავლებელს კალათბურთელთა თორმეტი გუნდი ჰყავდა და გიორგი ავალიშვილი გამოუცდელი, ახალბედა მოთამაშე სულ ბოლო, მეთორმეტე გუნდში ჩაურიცხავთ. „პატარა სახუნტი" — ასე ეძახდნენ მოფერებით ამ კოლექტივს — მერე და მერე გიორგი ავალიშვილისა და სხვა მისი მსგავსი ენთუზიასტთა მხარდაჭერით ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში საკმაოდ მძლავრი ძალა გამხდარა, ამ გუნდის წევრები კი თბილისისა და საქართველოს წამყვანი მოთამაშეები, წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატებში.

დიდმა სამამულო ომმა ხალხს სპორტისადმი ინტერესი დაუკარგა. განსაცდელში მყოფ ქვეყანას ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები სჭირდებოდა და გიორგი ავალიშვილიც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იმ პერიოდში მის ჯარისკაცის ფარაჯას არაერთი საბრძოლო მედალი ამშვენებდა. ვაჟკაცობით მოპოვებული — მეომარი ამით მუდამ ამაყობდა.

ომის შემდეგ ნაადრევად დაბრძენებული ყმაწვილები მშვიდობიან საქმიანობას შეუდგნენ. გიორგი ავალიშვილმა ისევ კალათბურთი გაიხსენა, მაგრამ როგორც გამოირკვა, წლებს მაინც თავისი გაეკეთებინა და ახალი არჩევანი გახდა საჭირო. კალათბურთს მაინც არ ჩამოშორებია — მეტად საპატიო და კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდა ხელი.

ამ რანგის მოღვაწენი ქართულ კალათბურთში ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლებიან. ჯერ კიდევ 1938 წელს, როცა თბილისის „ნაუკაში" თამაშობდა, დინამოელ რობერტ მდივანთან ერთად, სპორტის ოსტატის წოდება კალათბურთელთა შორის პირველს მიენიჭა. კარგა ხნის შემდეგ, 1955 წელს, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გახდა. ერთი წლის შემდეგ გიორგი ავალიშვილს, საქართველოში კალათბურთის მწვრთნელთა შორის პირველს, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდების მიღებას ულოცავდნენ. 1971 წელს კი მისი მოღვაწეობა სპორტში თითქოს შეჯამდა — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი გახდა.



ასეთია მოკლედ მისი სპორტული ბიოგრაფია. უფრო ვრცლად კი... საკმარისია გაიხსენოთ თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდის სახელოვანი ისტორია და ის ბედნიერი წლები, გიორგი ავალიშვილმა სახელოვანი კოლექტივის უფროსი მწვრთნელის პოსტზე რომ გაატარა. ოთხჯერ (1950, 1953, 1954, 1968 წ.წ.) საბჭოთა კავშირის ჩემპიონ გუნდს ავარჯიშებდა, სამჯერ თასის მფლობელს, ორჯერ კი ქალაქების მატჩში გამარჯვებულს.

1954 წლის 29 მარტს ლენინგრადში თბილისის „დინამომ" თავის ისტორიაში პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა (ბულგარეთის გუნდთან). ჩვენი გუნდის მწვრთნელი მაშინაც გიორგი ავალიშვილი იყო.

ცხადია ბედმაც გაუღიმა: სწორედ მის დროს, მის გუნდში თამაშობდნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია და ქართული კალათბურთის სხვა გამოჩენილი ოსტატები. პირად ცხოვრებაშიც სწყალობდა ბედი — გამგები და მოსიყვარულე ოჯახი ჰქონდა.

ქართულმა კალათბურთმაც ბევრი რამ მოიგო იმით, რომ ასეთი ერთგული და პატიოსანი ქომაგი ჰყავდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში (ასაკს მაინც თავისი გააქვს) „დინამოს" ნორჩ კალათბურთელებთან მუშაობდა. დიახ, საყვარელ საქმეს ვერ იქნა და ვერ შეელია.

კაცი ერთხელ ცხოვრობს და თუ ქვეყანა და ადამიანები უყვარს, ვალდებულია თავისი კვალი დატოვოს კიდეც. გიორგი ავალიშვილმა ცხოვრებაშიც და სპორტშიც ერთნაირად ნათელი კვალი დატოვა და ამიტომაა ეს დანაკლისი ყველასათვის ესოდენ მძიმე.

**საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია.**

# უანგარო, თავდადებული მოამაგე

**ᲐᲦᲐᲠ** არის გიორგი ავალიშვილი. ძნელი დასაჯერებელია ეს მისი ახლობლებისთვის, კოლეგებისთვის, ყველასათვის, ვინც მის გვერდით ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტი იცხოვრა, ვინც მის მხარდამხარ მოაბიჯებდა, ვინც მასთან სამუდამოდ დაამეგობრა საერთო საქმის სიყვარულმა.

წავიდა ამქვეყნიდან კაცი, ვის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული ქართული კალათბურთის ჩამოყალიბების წლები, მისი აღორძინებისა და საკავშირო დიდებისაკენ სვლის წლები, დასასრულ — ოქროს ხანის დაუვიწყარი ფურცლები, ჩვენი კალათბურთელების სასახელო გამარჯვებები ქვეყნის ჩემპიონატებში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში...

გიორგი ავალიშვილი თვითონაც ბრწყინვალე კალათბურთელი იყო, მაგრამ იგი იყო კიდევ უკეთესი მასწავლებელი, აღმზრდელი-მწვრთნელი, რომელმაც თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თბილისის „დინამოს".

ოთხგზის მოაპოვებინა მან ამ გუნდს ქვეყნის ჩემპიონთა ოქროს მედლები; მისი ხელმძღვანელობით „დინამომ" სამჯერ დაისაკუთრა თასი, ორჯერ ზამთრის პირველობა მოიგო. აღარას ვამბობთ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებზე.

„დინამოს" შემდეგ მრავალი წელი, სიცოცხლის დასასრულამდე, მიეძღვნა მის მთავარ, უპირველეს გატაცებას — ნორჩ კალათბურთელთა აღზრდას. საქმეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ვიცით, რა უფრო მეტად სჭირდება ცოდნა თუ სული...



სურათზე: ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდი (1936-1937 წლები). მარცხნიდან — ბორის აკიმოვი, სურენ ოგანეზოვი, გიორგი ავალიშვილი, ოთარ ავალიშვილი, ლევ ძეკონსკი.

წავიდა ამქვეყნიდან ქართული სპორტის უანგარო, თავდადებული მოამაგე. როგორ დაგვაკლდება მისი ნიადაგ მღელვარე სიტყვა, მისი დაუღალავი ზრუნვა და შფოთვა ამ ყველასათვის საყვარელი მრგვალი ბურთის ბედ-იღბლის გამო. მწარეა ეს ჩვენთვის, მისი მეგობარ-ახლობლებისთვის; ხოლო კიდევ უფრო დიდი დანაკლისია გიორგი ავალიშვილის სიკვდილი მისი საყვარელი საქმისათვის, რომელსაც იგი ასე ერთგულად ემსახურა.

ქართულ კალათბურთში დღესაც ბევრი კარგი სპეციალისტი მუშაობს, მისი გულშემატკივარი და მის მომავალზე მზრუნველი. მაგრამ ისეთი რაინდი, ისეთი გულმხურვალე ქომაგი, ისე სათუთად მოყვარული თავისი პირველი და ერთადერთი გატაცების — კალათბურთისა, როგორიც გიორგი ავალიშვილი იყო, სხვა არავინ გვეგულება. ჩვენს კალათბურთს კი ახლა სწორედ ასეთი სიყვარული სჭირდება...

მშვიდობით, გიორგი!

**არჩილ წერეთელი, ვლადიმერ მდივანი, ლევ ძეკონსკი, ლევან ფალავანდიშვილი.**

## რეგბი

**ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ** ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ა" ფინალური ჯგუფის მორიგ ტურში ქუთაისის „მშენებელმა" უმასპინძლა კიევის „ავიატორს". კიეველებმა ორივე მატჩი მოიგეს — 19:10 და 18:14. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სსა (მონინო) — ასკ (ალმა-ათა) 16:9, 23:10; „სლავა" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 13:12, 15:3; ეტს (კრასნოიარსკი) — „ფილი" (მოსკოვი) 16:21, 18:7.

გამოვლინდნენ თასის გათამაშების ნახევარფინალისტებიც: 22 აგვისტოს ხარკოვში ერთმანეთს შეხვდებიან სსა — ასკ (ალმა-ათა) და „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ავიატორი" (კიევი). ორი დღის მერე იქვე გაირკვევა თასის მფლობელის ვინაობაც.

# სსრ კავშირი—იუგოსლავია

17 ივლისს კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება. საბჭოთა კავშირის ნაკრები იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს შეხვდება, ეს იქნება ძველი მეტოქეების მერვე მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. ჯერჯერობით მინიმალური უპირატესობა იუგოსლავიელთა მხარესაა — 4:3.

საბჭოთა და იუგოსლავიელი კალათბურთელების პირველი მატჩი გაიმართა მსოფლიოს 1963 წლის ჩემპიონატზე. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 69:67 გაიმარჯვა იუგოსლავიის ნაკრებმა. ამ გამარჯვებით მან პირველად მოიპოვა ჩემპიონატის ვერცხლის მედლები. კიდევ უფრო პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამ გუნდების შეხვედრას 1967 წელს, ურუგვაიში ჩატარებულ მსოფლიო პირველობაზე. ამ მატჩს მსოფლიო ჩემპიონი უნდა დაესახელებინა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა საბჭოთა კალათბურთელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 71:59. მათ პირველად დაიმსახურეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 1970 წლის მსოფლიო პირველობაზე, იუგოსლავიაში, მასპინძლებს ჯერ კიდევ საბჭოთა კალათბურთელებთან შეხვედრამდე ჰქონდათ მოპოვებული ოქროს მედლები და ძველ მეტოქეთა ჰიდილი მხოლოდ პრესტიჟის საქმე იყო. მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს — 87:72. მსოფლიოს VII ჩემპიონატზე, პუერტო-რიკოში, წარმატებას იუგოსლავიის ნაკრებმა მიაღწია — 82:79. მანილაში, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე, საბჭოთა და იუგოსლავიელი სპორტსმენები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და წარმატება ორივეჯერ იუგოსლავიელებს ხვდათ: ნახევარფინალში — ანგარიშით 105:92, ხოლო სუპერფინალში — 82:81. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში უაღრესად ძნელი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა — 99:94.

**მერაბ კალანდაძე.**

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 17 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); კეთილი ნების თამაშები — 9.40 (1); 13.00 (2); 19.00 (2); 21.15 (2); 22.40 (1); 0.25 (1); საჭადრაკო სკოლა — 17.30 (1); რიტმული ტანვარჯიში — 20.30 (2).

18 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); კეთილი ნების თამაშები — 9.40 (1); 16.30 (2); 20.20 (2); 21.00 (1); 22.40 (1); 0.30 (1); მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში — 18.20 (2) და 19.40 (2).

**საქართველოს ტელევიზია.** 17 ივლისი. საქართველოს საფეხბურთო პირველობა (მიმოხილვა) — 19.30; კეთილი ნების თამაშები — 22.40.

18 ივლისი. კეთილი ნების თამაშები — 21.00 და 22.40.

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502